თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 7

ქ. თელავი 2018 წლის 19 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ალექსი ძულიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს დეპუტატი ზურაბ ნაცარაშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, მიწის მესაკუთრე მოქალაქე მაკა ნაცვლიშვილი, მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 954 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ა.შათირიშვილი

2. ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 2827 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ა.შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „მაგთიკომისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

მომხს.ა.შათირიშვილი

4. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ა.შათირიშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

მომხს.ა.შათირიშვილი

მოისმინეს: 1. ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 954 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ შპს „ბუნებრივ აირს" სააუქციონო პირობები აქვს შესრულებული, მაგრამ საექსპლოატაციოდ ჩასაბარებლად ობიექტი მზად არ არის, მიზანშეწონილია გაუგრძელდეს პირობის შესრულების ვადა 2 წლით.

ალექსანდრე შათირიშვილმა მიზანშეწონილად მიიჩნია პირობის შესრულების ვადის 2 წლით გაგრძელება და პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 954 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: 2. ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 2827 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ობიექტი საექსპლოატაციოდ ჩასაბარებლად მზად არ არის, თუმცა შპს „ბუნებრივ აირს“ სააუქციონო პირობები აქვს შესრულებული, ამიტომ მიზანშეწონილია მოხდეს პირობის შესრულების ვადის გაგრძელება 2 წლით

კომისიის წევრებმა მიიჩნიეს რომ საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 2827 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „მაგთიკომისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ შპს „მაგთიკომს“ სურს განათავსოს გადამცემი მოწყობილობები მუნიციპალიტეტის კუთვნილ გარე განათების ბოძებზე. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 5320 ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „მაგთიკომისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: 4. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ მოქ. ზაზა გურგუჩიანის მიერ მაკა ნაცვლიშვილზე ქონების გასხვისებისას, ნაკისრი ვალდებულებები არ იქნა დაფიქსირებული საჯარო რეესტრის ამონაწერში, რის გამოც ახალმა მესაკუთრემ ვერ მოახდინა ვალდებულების შესრულება.

მიზანშეწონილია მოქ. მაკა ნაცვლიშვილს, რომელიც ესწრება სხდომას მიეცეს 2 წლის ვადა პირობის შესასრულებლად.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: 5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ განმარტა, რომ ნუსხაში საჭიროა შეტანილი იქნას ცვლილება, ვინაიდან დამატებით მიღებული იქნა მუნიციპალური ქონების შეფასების აუდიტის დასკვნები, თუმცა სხდომაზე განსახილველად გამოტანილი სოფ. ვარდისუბანში არსებული ქონება საჭიროა ამოღებული იქნას საკითხის სრულყოფილად შესწავლამდე

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ცვლილების გათვალისწინებით წარდგენილი იქნას ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის პროექტი კომისიაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

2018 წლის 19 ივლისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ალექსანდრე შათირიშვილი
2. ვასილ არაბული
3. გიორგი ჩაბრაშვილი
4. ბესიკ ქოჩიშვილი
5. უჩა ჭოტიაშვილი
6. გურამი წულუკიძე
7. ლევანი ლილუაშვილი
8. ალექსი ძულიაშვილი
9. ლელა მენთეშაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

2018 წლის 19 ივლისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 480 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მაკა ნაცვლიშვილი

19.07.18